

## რელიგია

### მშობლიური ფესვები და უცხოური ზეგავლენა



არამაცური ნო მიიას ტაძარი, ისეს სალოცავი.  
შინტოს ძირითადი სალოცავი, რომელიც მიძღვნილია მზის ქალღმერთ ამატერასუსადმი, რომელიც მიჩნეულია საიმპერატორო ოჯახის წინაპარად.

რელიგიის ისტორია იაპონიაში წარმოადგენს რელიგიურ ტრადიციებს შორის ორმხრივი ზეგავლენის ხანგრძლივ პროცესს. ევროპისგან განსხვავებით, სადაც ქრისტიანობამ განდევნა ადგილობრივი წარმართული ტრადიციები, მკვიდრი იაპონური სარწმუნოება (*შინტოიზმი* ანუ *შინტო*) დღესაც განაგრძობს არსებობას და ხალხის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

VI საუკუნეში, როდესაც იაპონიაში ბუდიზმი შემოვიდა, შინტოისტურმა და ბუდისტურმა აღმსარებლობებმა დაიწყეს ურთერთობა. ეს უკანასკნელი იაპონიის რელიგიის განსაკუთრებული ნიშან-თვისებაა. ამგვარი ურთიერთხემოქმედების გასაოცარ მაგალითს წარმოადგენს *ჰონჯი სუიჯაკუს* თეორია, სადაც *შინტოს კამი* (ღვთაებრივი არსებები) განიხილებოდა ბუდისტურ ღვთაებათა რეინკარნაციებად.

კიდევ ორმა ე. წ. რელიგიურმა „იმპორტმა“, კონფუციანელობამ და დაოიზმმა, 1000 წელზე მეტი ხნის მანძილზე დიდი როლი ითამაშა იაპონიის საზოგადოების განვითარების საქმეში. კონფუციანელობის მცნებებს ჰქონდათ უდიდესი ზეგავლენა იაპონიის ეთიკურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაზე იაპონიის სახელმწიფოს ფორმირების პერიოდში (VI-IX სს.) და აგრეთვე ედოს

პერიოდში (1603–1868 წწ.). დღეს რელიგიური დაოიზმის გავლენას იაპონიაში შეიძლება წავაწყდეთ ჩინური კალენდრის გამოყენებისა და წინასწარმეტყველთა რჩევების დროს.

## შინტო



**შინტოისტური ქორწინება**  
შინტოს სტილის ქორწინების ცერემონია დღესაც მიღებული ფორმა იაპონიაში

სიტყვა შინტო, რომელიც ხშირად ითარგმნება როგორც „ღმერთების გზა“, ორი ჩინური სიმბოლოთი იწერება; როდესაც მარტო დგას პირველი სიმბოლო, ის წარმოითქმის, როგორც *კამი* და ნიშნავს „ღმერთს“, „ღვთაებას“, ან „ღვთაებრივ ძალას“ და როდესაც განცალკევებით დგას არა პირველი, არამედ მეორე ნიშანი, აღნიშნავს „გზას“ ან „ბილიკს“. ბრინჯის მიწვევების სისტემის შემოღებასთან ერთად იაიოის პერიოდში (ძვ. წ. აღ. 300 – ახ. წ. აღ. 300 წწ.) იაპონიაში თანდათან მოიკიდა ფეხი სასოფლო-სამეურნეო რიტუალებმა და ფესტივალებმა, რომელიც მოგვიანებით შინტოს განუყრელი ნაწილი გახდა.

სიტყვა *კამი* შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთი ღმერთის ან ღმერთების ერთობლიობის აღსანიშნავად, რომლებიც იაიოის უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ძირითადი თაყვანისცემის ობიექტები იყვნენ იაპონიაში. *კამი* არის ცხოვრების ყველა ასპექტის ნაწილი და თავს იჩენს სხვადასხვაგვარი გამოვლინებით. არის ბუნების *კამი*, რომელიც ბინადრობს წმინდა ქვებში, ხეებში, მთებში და სხვა. არსებობენ საგვარეულო ღმერთები იგივე საგვარეულო *კამი* (*უჯიგამი*), რომლებიც წარმოადგენენ ცალკეული გვარის მფარველ ღმერთებს და მათში ხშირად



**კამიდანა**  
საცხოვრებელ სახლში ღმერთების თაყვანისცემისთვის განკუთვნილი მინიატურული სალოცავი

ვხვდებით საგვარეულოს წინაპრების განდმრთობილ სულებს. ასევე გვხვდება *ტა ნო კამი* ანუ ბრინჯის ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემენ ბრინჯის დათესვის და მოსავლის აღების ფესტივალებზე. ამასთან, არსებობს ცოცხალი ადამიანური ღვთაება, რომელსაც *იკიგამის* უწოდებენ. *კამი* ანუ ღვთაებები, რომლებიც დასავლურ კულტურებში უფრო ღმერთებს შეესატყვისებიან, არიან ზეციური ღვთაებები, რომლებიც ცხოვრობენ *ტაკამაგაჰარაზე* (მაღალ ზეციურ ველზე). მათ მართავს *ამატერასუ ომიკამი*, ქალღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემენ ისეს სალოცავში (მთავარი შინტოისტური სალოცავი).

ფართოდ გავრცელებული, მაგრამ გარკვეულწილად ორგანიზებას მოკლებული ადგილობრივ სარწმუნოებათა სახეობები და რიტუალები თანდათან სისტემატიზირებულ იქნა შინტოში. ამას ნაწილობრივ ხელი შეუწყო VI საუკუნეში სათანადოდ ორგანიზებული ბუდიზმის დოქტრინების შემოსვლამ იაპონიაში. საიმპერატორო წარმოშობის ლეგიტიმურობის რელიგიური და მითოლოგიური საფუძვლებით გამყარების დიდმა სურვილმა ხელი შეუწყო „კოჯიკის“ („უძველეს საქმეთა ჩანაწერები“) და „ნიჰონ შიოკის“ („იაპონიის ქრონიკები“) შედგენას თანმიმდევრულად, 712 და 720 წწ.-ში. ამ წიგნებს საიმპერატორო ხაზის კვალი მიჰყავთ უძველესი ღმერთების მითიურ ხანამდე და მოგვითხრობენ თუ როგორ შექმნეს ღმერთებმა, იძანაგიმ და იძანამიმ, იაპონური კუნძულები და მთავარი ღმერთები: *ამატერასუ ომიკამი* (მზის ქალღმერთი), *ცუკუიომი ნო მიკოტო* (მთვარის ღმერთი) და *სუსანოო ნო მიკოტო* (ქარიშხლების ღმერთი). *ამატერასუ ომიკამის* შვილთაშვილის შვილიშვილად მიჩნეულია იმპერატორი ჯიმმუ, იაპონიის ლეგენდარული პირველი მონარქი.

შინტოში ოფიციალური წმინდა წიგნების არარსებობა ამ რელიგიაში სამომდევრო მცნებების უქონლობაზე მიუთითებს. ამის სანაცვლოდ, შინტო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს საღვთო რიტუალისა და *კამისთან* დაკავშირებული საკითხებისა თუ ურთიერთობის სიწმინდეს.

## ბუდიზმი



გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად ადვლენილი ბუდისტური მსახურება. ბუდისტური ცერემონია ტარდება იმისათვის, რომ ილოცონ მიცვალებულის სულის განსასვენებლად.

ძვ. წ. აღ.-ის V საუკუნეში ინდოეთში წარმოშობილი ბუდიზმი ჩვ. წ. აღ.-ის II და III საუკუნეებში ჩინეთში გავრცელდა და საბოლოოდ კორეის გავლით იაპონიაშიც მიაღწია VI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც პაეკჩეს მეფემ იაპონიის იმპერატორს ბუდას ქანდაკება და სუტრას წიგნები გამოუგზავნა. მას შემდეგ, რაც გავლენიანმა და ბუდისტურად განწყობილმა სოგას ოჯახმა ჩაახშო ანტიბუდისტური უთანხმოებები, ბუდიზმი სწრაფად გავრცელდა მაღალ საზოგადოებრივ ფენებში. იაპონიაში ბუდიზმის ფუძემდებლად აღიარებულია პრინცი შიოტოკუ (574-622 წწ.), რომელიც საიმპერატორო დახმარებას უწევდა ისეთი დიდი ტაძრების მშენებლობას, როგორცაა ჰორიუჯი (ნარას პრეფექტურა).

იმპერატორმა შიომუმ (701-756 წწ.) ბუდიზმი ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მან ააგო ტოდაიჯის ტაძარი ნარაში და იქ დაადგმევინა უზარმაზარი ბუდას ქანდაკება. მიმდევრების თვალსაზრისით ბუდიზმის დაწინაურების მიუხედავად, შინტო და ბუდიზმი განაგრძობდნენ მშვიდობიან თანაარსებობას. იმ დროს, ნარაში იყო ექვსი წამყვანი ბუდისტური სექტა, რომელიც სათავეში ედგა ბუდიზმს იაპონიაში. ეს და სხვა ბუდისტური სექტები იმ

დროისთვის ძირითადად აკადემიური ხასიათისა იყო და საზოგადოებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო. სექტების ადმინისტრაციები თაოსნობდნენ ძირითადად რიტუალების აღსრულებას ეროვნული კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ჰეიანის პერიოდის (794-1185) ადრეულ ეტაპზე იაპონიაში გავრცელდა ტენდაის სექტა, რომელიც ქვეყანაში შემოიტანა ბუდისტმა მოძღვარმა, საიჩომ (767-822 წწ.) და შინგონის სექტა, რომლის შემოღებასაც კუკაის ანუ კობო დაიშის (774-835 წწ.) მიაწერენ. ეს ორი ეზოთერული სექტა ბუდიზმის განშტოებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა საიმპერატორო კარზე. კამაკურას პერიოდში (1185-1333 წწ.) იაპონურმა ბუდიზმმა ორი დიდი წარმატება განიცადა. თავდაპირველად ძენის სკოლა დაარსდა ეისაის (1141-1215 წწ.) მიერ, რომელიც იყო რინძაის სექტის ფუძემდებელი და მოგვიანებით ამ სკოლას სახე უცვალა დოგენმა (1200-1253 წწ.), რომელიც სოტოს სექტის დამაარსებელი იყო. ძენმა მის პირდაპირობაზე, თვითდისციპლინასა და მედიტაციაზე კონცენტრირებულობით მალევე შეიძინა შესაფერისი აუდიტორია მეომართა ელიტიდან. ძენი მოიცავდა მჯდომარე მედიტაციას (*ძაძენი*) და ირაციონალურ ქარაგმებს/გამოცანებს (*კოანი*), რაც იმისთვის იყო საჭირო, რომ ამ რელიგიის ნებისმიერ მიმდევარს გასხივოსნებისთვის (*სატორი*) მიეღწია. ამ ორ სექტას შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რინძაი ძენისთვის სოტო ძენთან შედარებით უპირატესია *კოანი*.



**ბუდისტი მღვდელი ასრულებს ასკეტურ რიტუალს.**  
მჯდომარე ბუდისტი მოძღვარი თავზე ჩალის ქუდით მედიტაციის მდგომარეობაშია და თან ითხოვს მოწყალეობას. (ფოტო AFLO-სგან)

სხვა ეტაპი იაპონიის ბუდიზმის განვითარებაში იყო პოპულარული ბუდისტური სექტების მომრავლება ადგილობრივ საზოგადოებაში. ამ სექტათა რიცხვს განეკუთვნებოდა: 1) წმინდა მიწის სექტები, რომელთა წარმოდგენით *ბუდა-ამიდას* სახელის გალობით გამეორება საუკეთესო გზა იყო ამიდას დასავლურ სამოთხეში რეინკარნაციისთვის და 2) ნიჩირენის სექტა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ლოტუსის სუტრას სათაურის ხშირ-ხშირ გამეორებას გალობით.

ედოს პერიოდში (1603-1868 წწ.), ტოკუგავას შიოგუნატმა მოითხოვა, რომ ყველა უნდა ყოფილიყო ბუდისტური ტაძრის წევრი, რაც ქრისტიანობის განდევნისა და მოსახლეობის კონტროლის ქვეშ აყვანის ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა. ასეთმა მოთხოვნამ ნამდვილად გაზარდა ტაძარში მრევლის რაოდენობა, მაგრამ ვერ შეძლო ბუდიზმი გადაექცია ცოცხალ რელიგიად. მეიჯის პერიოდის დასაწყისში (1868-1912 წწ.) ეს სისტემა დაანგრია ანტი-ბუდისტური განწყობილების ტალღამ, რომელსაც ზურგს უმაგრებდა მთავრობა იმ მიზნით, რომ გამოედევნა ბუდიზმი შინტოს სალოცავებიდან და შინტოიზმი გამოეცხადებინა იაპონიის სახელმწიფო რელიგიად. ამ

და სხვა თანამედროვე ცვალებადი სოციალური გარემოს პასუხად, ბუდიზმი დღემდე ცდილობს ხელახლა გადააფასოს მისი როლი იაპონიაში.

## ქრისტიანობა

ქრისტიანობის ისტორია იაპონიაში შეიძლება სამ პერიოდად დავყოთ: (1) ქრისტიანობის პირველი შემოსვლა იაპონიაში XVI საუკუნის შუა წლების დასაწყისში; (2) ქრისტიანობის ხელმეორედ დაბრუნება იაპონიაში XIX საუკუნის შუა ნახევარში, 200-წლიანი ეროვნული იზოლაციის დასრულების შემდეგ და (3) II მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი პერიოდი.

### ქრისტიანობის შემოსვლა და დევნა

იეზუიტი მისიონერი ფრანსის ქსავიერი კაგოშიმაში ჩავიდა 1549 წლის აგვისტოში. იეზუიტების მისიონერული მოღვაწეობა ძირითად კონცენტრირებული იყო კიუშიუში, იაპონიის 4 მთავარი კუნძულიდან ყველაზე სამხრეთ განაპირა კუნძულზე. 1579 წელს, 6 *დაიმიო* (რეგიონალური სამხედრო მთავარი) მოექცა ქრისტეს რჯულზე და ქრისტიანების საშუალო რაოდენობა 100,000-მდე გაიზარდა. იეზუიტებს შემწყნარებლურად ეკიდებოდა თავად სამხედრო მმართველი, ტოიტომი ჰიდეიოში და სამხედრო ლიდერი ოდა ნობუნაგა. მაგრამ ბოლოს, როდესაც იეზუიტთა გავლენა კიუშიუზე ძალიან გაიზარდა, ჰიდეიოშიმ 26 იეზუიტი გააკრა ჯვარზე ნაგასაკში 1579 წელს. 1600 წელს, ტოკუგავა იეიასუ გახდა იაპონიის დე-ფაქტო ლიდერი. იეიასუც შემწყნარებლური იყო იეზუიტების მიმართ თავდაპირველად, მაგრამ 1614 წელს მისმა მთავრობამ ქრისტიანობა კანონგარეშედ გამოაცხადა იაპონიაში და იეზუიტი მისიონერები ქვეყნიდან განდევნა. ამ დროისთვის იაპონიაში დაახლოებით 300,000 ქრისტიანი იაპონელი იყო, მათგან სტატისტიკური კვლევის შედეგად 3, 000 დასაჯეს სიკვდილით; დიდმა ნაწილმა უარყო თავისი რწმენა ხანგრძლივი დევნისა და შევიწროების შემდეგ და ბევრმა მათგანმა კი ბოლომდე საიდუმლოდ შეინახა იგი და ფარულად აღასრულებდა ღვთისმსახურებას.

### ხელახალი დამკვიდრება

1859 წელს, მას შემდეგ რაც იაპონიის მთავრობამ შეწყვიტა დევნის პოლიტიკა, უცხოელი მისიონერები დაბრუნდნენ იაპონიაში, მაგრამ ისინი ვერ ბედავდნენ აშკარა ევანგელისტურ ქადაგებას 1873 წლამდე. ამ პერიოდიდან უკვე 30,000 ფარული ქრისტიანი გამოჩნდა თვალსაწიერზე, რომლებიც ორასწლიანი დევნის მანძილზე ფარულად ემსახურებოდნენ ქრისტეს.

ორივე მიმდინარეობის, როგორც კათოლიკე ისე პროტესტანტი მისიონერები გააქტიურდნენ 1873 წლიდან და მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს რჯულზე მოქცეულთა რიცხვი ამ დროისთვის მცირე იყო, ისინი გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ განათლებისა და

პროფკავშირების სფეროში. შინტოს ტაძრის სავალდებულო წევრობის პოლიტიკამ XX საუკუნის 30-იანი წლები გაუსაძლისი გახადა ქრისტიანებისთვის.

### **მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი**

ქრისტიანობას იაპონიაში II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მხარს უჭერდნენ ოკუპაციური ძალები, თუმცა ამისგან ისინი უმნიშვნელო სარგებელს იღებდნენ. 2006 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 2,36 მილიონი ქრისტიანი იყო, რაც შეადგენდა მთლიანი მოსახლეობის 1,2 პროცენტს.

მიუხედავად იმისა, რომ პოპულარობა იზრდებოდა ქრისტიანული საქორწინო ცერემონიების მიმართ, ქრისტიანობა, როგორც რელიგია, დღესაც იწვევს უცხოურის განცდას ადგილობრივ მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის მიმართ ცოდნა და ინტერესი წლების განმავლობაში იზრდებოდა, იაპონელები მაინც გაუცნობიერებელნი არიან ამ რელიგიაში, რითაც განპირობებულია მორწმუნეთა რიცხვის სიმცირე. ამის ერთერთი შესაძლო მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ქრისტიანობა ერთის მხრივ მოითხოვს მორწმუნის ძლიერ თავდადებასა და მეორეს მხრივ, ავალდებულებას მათ უარყონ პოლიტიკური იაპონური რელიგიები, როგორცაა შინტო და ბუდიზმი.

## **რელიგია დღეს**

### **შინტოსა და ბუდიზმის ძირითადი მიმართულებები**

ურბანიზაციამ ბევრი იაპონელი მოსწყვიტა ოჯახურ კავშირებს, ბუდისტურ ტაძარსა თუ შინტოს სალოცავს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი მიიჩნევს თავის თავს ორივე რელიგიის (*შინტოიზმი* და *ბუდიზმი*) მიმდევრად. კულტურულ საქმეთა სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებით, 2011 წლისთვის ორივე რელიგიის წევრების რაოდენობათა ჯამმა დაახლოებით 187,4 მილიონი შეადგინა, რაც იაპონიის მთლიან მოსახლეობაზე თითქმის 1.5-ჯერ მეტია. აღსანიშნავია, რომ იაპონელების შინაგან სამყაროში შინტო და ბუდიზმი უფრო მშვიდობიანად თანაარსებობენ ვიდრე წინააღმდეგობაში მოდიან. ჩვეულებრივი მორწმუნისთვის რელიგიურობა არ ნიშნავს რეგულარულად ტაძარში სიარულს. მათი უმრავლესობა ტაძარსა თუ სალოცავს სტუმრობს საგანგებო დღესასწაულებისა და რიტუალების დროს. ამგვარი ღონისძიებები ყოველწლიურად იმართება და მოიცავს ტაძრებისა და სალოცავების შემდეგ დრესასწაულებსა თუ ცერემონიებს: ტაძრისა თუ სალოცავის პირველ მოლოცვას წლის დასაწყისში (*ჰაცუმოდე*); *ბონის* ფესტივალის განმავლობაში წინაპრების საფლავების მონახულებას; ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპების აღმნიშვნელი რიტუალების შესრულებასა და სხვ. ამ უკანასკნელში შედის ახალშობილის პირველად ტაძრად მიყვანა (*მიამაირი*); *ში-ჩი-გო-სან*-ის ფესტივალზე სამლოცველოს მონახულება 3-5 წლის ასაკის ბიჭებისა და 3-7 წლის გოგონების დალოცვის მიზნით; *შინტოისტური* ქორწინებისა და ბუდისტური დაკრძალვის ცერემონიები და სხვ.

### ახალი რელიგიები

იაპონიაში XX საუკუნეში ყველაზე საინტერესო მოვლენა, რელიგიური განვითარების თვალსაზრისით, იყო მთელი რიგი ახალი რელიგიების შემოსვლა და სწრაფი გავრცელება. ეს რელიგიები მოიცავდა ადრეული რელიგიური ტრადიციების ასპექტებს, როგორცაა: შინტო, ბუდიზმი, კონფუციანელობა, დაოიზმი, ხალხური რელიგია და შამანიზმი. ახალი რელიგიების ფუძემდებლებს პატივს მიაგებდნენ, როგორც ცოცხალ ღვთაებებს (*იკიგამი*).

ერთერთი ყველაზე მიმზიდველი ახალ რელიგიებში ისაა, რომ ისეთ ხალხს, ვისაც აკლია ფსიქოლოგიური თუ სულიერი თანადგომა ან განიცდის სრულ სიმარტოვეს, ეძლევათ საზოგადოებრიობის განცდა და ერწყმიან ისტორიულად განპირობებულ მათსავე ახლობლებს, ადგილობრივ საზოგადოებასა თუ ტრადიციულ რელიგიებს.

თანამედროვეობის ზოგიერთი უარყოფითი რელიგიური ასპექტი, როგორცაა რელიგიური მიმდინარეობის მიერ თავის მრევლზე განხორციელებული მკაცრი კონტროლი, უკავშირდება ტოკიოს მეტროში 1995 წლის მარტში მომხდარ საზარელ ფაქტს, როდესაც რელიგიური კულტის აუმ შინრიკიოს მიმდევრების მიერ ორგანიზებული თავდასხმის დროს დაიღუპა თორმეტი და დაშავდა ათასზე მეტი ადამიანი.

### რელიგიური დაწესებულებები იაპონიაში

	შინტო	ბუდიზმი	ქრისტიანობა	სხვა
სალოცავები, ტაძრები, სხვა დაწესებულებები	88,004	85,343	9, 281	37,761
სასულიერო პირები (მღვდლები, მინისტრები და სხვ.)	77,434	332,971	29,160	214,732
წევრები	100,770,882	84,708,309	1,920,892	9,490,446

შენიშვნა: ეს სტატისტიკა დაფუძნებულია სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ მასალაზე. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მცირედ უზუსტობას მონაცემთა დაფიქსირების წლებთან დაკავშირებით (კულტურულ საქმეთა სააგენტოს 2012 წლის ივლისის მონაცემები).